



VIPTRADE

ძირითადი სახელშეკრულებო პირობები და
რისკების შესახებ გაფრთხილება

LLC TRADE HOLDING

1 leonidze st . 0179, Tbilisi, Georgia E-mail info@viptrade.ge : +995 322 247 22 22

www.viptrade.ge

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს "ტრეიდ ჰოლდინგის" მიერ (შემდგომში: TH). იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს და მთლიანობაში უნდა იქნას კლიენტის მიერ ნაკითხული და გააზრებული.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ფინანსურ პროდუქტებში ინვესტირებამდე, თქვენ მხედველობაში უნდა მიიღოთ თქვენი საკუთარი ფინანსური გარემოებები, საჭიროებები და ამოცანები იმის განსასაზღვრად, არის თუ არა გამოყენებული პროდუქტებით ვაჭრობა მისაღები თქვენთვის. ჩვენი რეკომენდაციაა მიიღოთ დამოუკიდებელი ფინანსური და საგადასახადო რჩევა წინამდებარე გაფრთხილებასთან და ხელშეკრულების ზოგად პირობებთან დაკავშირებით.

სპეკულაციური ფინანსური საბერკეტო პროდუქტებით ვაჭრობა უფრო მეტ რისკს მოიცავს ვიდრე ფინანსური არასაბერკეტო საინვესტიციო პროდუქტები (მაგალითად წილებით ტრადიციული ვაჭრობა) და შესაძლოა გამოიწვიოს დანაკარგები, რომლებიც თქვენს საწყის ხარჯს აღემატება. თუკი თქვენ არ გესმით ის რისკები, რომლებიც ამგვარ პროდუქტებს ახლავს თან ან არ გსურთ მიიღოთ პოტენციური ზარალის რისკები, თქვენ არ უნდა დათანხმდეთ ამგვარი ტრანზაქციას. აღნიშნული რისკები აღწერილია წინამდებარე პირობების მე-4 მუხლში.

წინამდებარე დოკუმენტი თქვენ განვლით შემდეგ ინფორმაციას:

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ვაჭრობა TH-თან,
3. სპოტ (გარიგების) სავალუტო ბაზრის, ფასების სხვაობის კონტრაქტისა და სპოტ ძვირფასი მეტალების ბაზრის, ასევე ბინარული ოფციონების ძირითადი თვისებები და მახასიათებლები
4. რისკები, რომლებიც თან ახლავს შემოთავაზებული პროდუქტებით ვაჭრობას
5. გადასახადები და ანაზღაურება
6. ხელშეკრულება TH-თან

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. რეგულაცია

TH წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებულ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიას. TH –ს უფლება აქვს განახორციელოს საბროკერო საქმიანობები და შესთავაზოს კლიენტებს შესაძლებლობა მოახდინონ სპოტ (გარიგების) სავალუტო ბაზარზე, ფასების სხვაობის კონტრაქტის, სპოტ ძვირფასი მატელების და ბინარული ოფციონების ბაზარზე ვაჭრობა და იგი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

1.2. წარმომადგენლობები

TH-ის პროდუქტების შეთავაზება ხდება მხოლოდ ინფორმაციის საფუძველზე და წარმომადგენლობებში რომლებიც მოცემულია წინამდებარე გამჟღავნების დოკუმენტსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში და არანაირი სხვა ინფორმაცია ან წარმომადგენლობა ან ნებისმიერი პირი არის უფლებამოსილი TH-ის მიერ გასცეს ნებისმიერი ფორმის ინფორმაცია კლიენტებისათვის ან განახორციელოს სხვა ნებისმიერი წარმომადგენლობა გარდა მოცემულ გამჟღავნების განცხადებაში მოცემული წარმომადგენლობისა.

1.3. ვალუტა ყველა მოყვანილი ფინანსური თანხა მოცემულია აშშ დოლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტულად არის მოცემული ან კონტრაქტის კონტექსტი გულისხმობს სხვა ვალუტას.

1.4. წყაროს მითითება

ნებისმიერი ემიტენტის, ძირითადი აქტივების, ინდექსის ან ძირითადი ბაზრის მითითება, რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულება ეხება, ხდება მხოლოდ უსაფრთხოებისა და/ან აქტივის დადგენის მიზნით. ისინი არ წარმოადგენს ნებისმიერი რომელიმე კონტრაქტის (გამოხატულ ან ნაგულისხმევ) დამტკიცებას იმგვარი ემიტენტის ან ძირითადი ბაზრის მიერ და იმგვარი კომპანია ან სხვა პირი არ იღებს ნებისმიერ პასუხისმგებლობას პროდუქტის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

1.5. იურისდიქცია წინამდებარე დოკუმენტის დარიგება და გავრცელება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს გარეთ ცალკეულ იურისდიქციებში. პირებს, რომელთა სარგებლობაში მოხვდება წინამდებარე დოკუმენტი, მოეთხოვებათ საკუთარი თავის ინფორმირება გარკვეული შეზღუდვების შესახებ და ასევე მათი დაცვა. წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას ან შუამდგომლობას ნებისმიერი პირისადმი ნებისმიერ იურისდიქციაში, რომელშიც ამგვარი შეთავაზება არ არის ნებადართული ან ნებისმიერი პირისადმი, რომლისათვის ამგვარი შეთავაზება ან შუამდგომლობა უკანონოა.

თუკი თქვენ საგადასახადო მიზნებისათვის წარმოადგენთ არაქართველ რეზიდენტ პირს, თქვენ მხედველობაში უნდა მიიღოთ:

- კანონი, რომელიც თქვენსა და TH-ის საქმიან ურთიერთობებს არეგულირებს, წარმოადგენს საქართველოს კანონს;
- თქვენი უფლებები TH-ის წინაშე შეზღუდულია იმგვარად, როგორც ეს არის მოცემული ძირითად ხელშეკრულებაში;
- თქვენი ფული განიკარგება და დაიხარჯება TH-ის სერვისის პოლისის შესაბამისად;
- დროები და თარიღები მოცემულია გრინვიჩის საშუალო დროით თუკი სხვა რამე არ არის მოცემული.

1.6 TH იძლევა რჩევას

TH იძლევა რჩევას პერსონალური და/ან ფინანსური პროდუქტების შესახებ. TH იძლევა ზოგად ფინანსურ ინფორმაციას, ეს ინფორმაცია მხედველობაში იღებს თქვენს კონკრეტულ გარემოებებს და მოცემულია რეკომენდაციის სახით იმის შესახებ, რომ ამგვარი ტიპის კონტრაქტები თქვენთვის სწორია ან რომ ნებისმიერი კონკრეტული მოქმედება არის რეკომენდირებული. თუმცა ჩვენ რეკომენდაციას გაძლევთ თქვენ თვითონ მოიპოვოთ დამოუკიდებელი საექსპერტო რჩევა მანამ სანამ მიიღებთ გადაწყვეტილებას იმ პროდუქტის შესახებ, რომლებიც თქვენთვის მისაღებია.

2. TH-ის შესახებ

TH წარმოადგენს საბროკერო და საინვესტიციო სახლს, რომელიც აწვდის სპოტ (გარიგების) სავალუტო ბაზარზე, ფასების სხვაობის გარიგებების, სპოტ ძვირფასი მეტალების და ბინარული ოფციონების ბაზარზე ვაჭრობის სერვისებს კლიენტების დივერსიფიცირებული ბაზრისათვის, რომელიც ვარირებს ფინანსური ინსტიტუციებიდან კერძო პირებამდე.

2.1. კონტრაქტი და სავაჭრო დეტალები

TH მუშაობს 24 საათი 5 სამუშაო დღის განმავლობაში, რომელიც ემთხვევა ფინანსური ბაზრის გახსნას ორშაბათს და დახურვას პარასკევს.

3. რისკების შესახებ გაფრთხილება საინვესტიციო მრჩევლებისათვის

3.1 ფულთან და ქონებასთან მოპყრობის პროცედურები

(ა) TH-ისთვის თანხის გადარიცხვისას კლიენტმა უნდა უზრუნველყოს რომ იგი მოიპოვებს TH-ის კლიენტის სავაჭრო ანგარიშების დეტალებს თანხის გადარიცხვამდე.

(ბ) კლიენტისაგან მიღებული ყველა თანხა ინახება კლიენტის საბროკერო სავაჭრო ანგარიშზე.

(გ) ანგარიშის საქმიანობებთან დაკავშირებული ჩანაწერები ინახება და ხელმისაწვდომია კლიენტისათვის ინტერნეტის მეშვეობით.

ჩანაწერები ასევე ინახება იმ კონტრაქტებთან დაკავშირებით, რომელსაც კლიენტი აფორმებს TH-თან და მოიცავს შეკვეთის ონლაინ განლაგების ჟურნალს, სატელეფონო ჩანაწერებსა და საუბრის (ჩატის) ჟურნალს. ყველა აღნიშნული ჩანაწერი კლიენტისათვის ხელმისაწვდომია მოთხოვნის საფუძველზე.

(დ) კლიენტი თანხმობას აძლევს TH-ს განკარგოს კლიენტის თანხა კლიენტის კონკრეტულ ინვესტიციაში და აღიარებს, რომ TH მიიღებს ინტერესს კლიენტის ნაღდი ფულის დეპოზიტებთან დაკავშირებით ბიზნესის ჩვეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

(ე) ფინანსურ ჩანაწერებს, მათ შორის კლიენტის საბანკო ანგარიშებს წლის ბოლოს აუდიტი ჩაუტარდება.

3.2. საინვესტიციო რჩევა

TH აძლევს რჩევას ინვესტიციების ვარგისიანობის შესახებ, თუმცა კომპანიის რეკომენდაციაა კლიენტმა თავადაც მოიპოვოს დამოუკიდებელი ფინანსური და საგადასახადო რჩევა და მიიღოს გადაწყვეტილება.

4. რისკების შესახებ გაფრთხილება

თქვენ უნდა მოიპოვოთ დამოუკიდებელი რჩევა, მანამ სანამ მიიღებდეთ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია თქვენთვის მოცემული ტიპის პროდუქტები თქვენი გამოცდილების, ამოცანებისა და საჭიროებების მხედველობაში მიღებით. თქვენ უნდა იყოთ ინფორმირებული იმ რისკების შესახებ, რომლებსაც ამგვარი საქმიანობა მოიცავს და რომ თქვენ შეიძლება მოიგოთ ან დაკარგოთ დიდი რაოდენობის თანხები.

ამგვარი პროდუქტებით ვაჭრობისას დანაკარგის რისკი მნიშვნელოვანია. ამდენად, თქვენ ყურადღებით უნდა განსაზღვროთ ამგვარი ვაჭრობა მისაღები არის თუ არა თქვენი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე.

გადაწყვეტილების მიღებისას, თუ რამდენად მისაღებია თქვენთვის აღნიშნული ტიპის სავაჭრო ოპერაციები, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- (ა) თქვენ შესაძლოა მთლიანად დაკარგოთ საწყისი თანხები, რომლებსაც ქვენ განათავსებთ დეპოზიტის სახით TH-ის ანგარიშზე იმისათვის რათა დაადგინოთ ან შეინარჩუნოთ კონკრეტული გარიგების პოზიცია;
- (ბ) თუკი ბაზრის ფასი თქვენი პოზიციის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, თქვენ შესაძლოა მოგეთხოვოთ, TH-ის ანგარიშზე შეიტანოთ დამატებითი თანხები თქვენი პოზიციის შესანარჩუნებლად.
- (გ) თუკი თქვენ ვერ მოახდენთ აღნიშნული დამატებითი თანხების მიწოდებას მოთხოვნილი დროის ფარგლებში, მაშინ თქვენი პოზიცია გაუქმდება დანაკარგით და ამ შემთხვევაში თქვენ იქნებით პასუხისმგებელი თქვენს ანგარიშზე ნებისმიერი დანაკარგის შესახებ, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობით იქნება განპირობებული.
- (დ) გარკვეული პირობების ფარგლებში, თქვენთვის ძნელი ან თითქმის შეუძლებელი შესაძლოა გახდეს თქვენი პოზიციის დახურვა (ეს შესაძლოა მოხდეს როდესაც არსებობს მოკლე დროში ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება);
- (ე) პირობითი ორდერის განთავსება (მაგალითად, "Stop-Loss" ორდერი) ყოველთვის არ შეზღუდავს თქვენს დანაკარგებს იმ რაოდენობით, როგორც ეს შეიძლება თქვენ გინდოდეთ. გარემოებებმა შესაძლოა ამგვარი ორდერების აღსრულება შეუძლებელი გახადოს.
- (ვ) "სპრედ " პოციზია არ არის აუცილებელი ნაკლებ რისკიანი იყოს ვიდრე "ყიდვის" ან "გაყიდვის" პოზიცია;
- (ზ) ფინანსური ბერკეტის მაღალმა ხარისხმა, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამგვარი ტიპის პროდუქტების ვაჭრობით მათი მცირე ზღვრული მოთხოვნების გამო, ასევე თქვენს წინააღმდეგ შეიძლება ამოქმედდეს. ფინანსური ბერკეტის გამოყენებამ შესაძლოა დიდი დანაკარგები გამოიწვიოს, ისევე როგორც დიდი მოგებები და (თ)ბინარული ოფციონების გაყიდვის რისკები იგივეა რაც სხვა გარიგებებში.
- (თ) ბაზრის რისკი და ფინანსური რისკი ზოგადად ორი ტიპის რისკია, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ფლობასთან (მაგალითად, აქციები, წილები კოპანიაში). ბაზრის რისკი დაკავშირებულია ზოგადად ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოძრაობასთან. ფინანსური რისკი დაკავშირებულია მოცემული კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან და მომგებიანობასთან.

მცირე კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებმა შესაძლოა განიცადონ ზრდის მაღალი მაჩვენებლები და მაღალი დანაკარგები ვიდრე ფართო კაპიტალიზაციის კომპანიებმა.

ყველა ფიქსირებული შემოსავლების ფასიანი ქაღალდების აღნიშნული ორი სახეობის რისკები ასევე კრედიტის რისკისა და საპროცენტო განაკვეთის რისკებს შეიცავს. კრედიტის რისკი დაკავშირებულია ემიტენტის მიერ ინტერესის შესრულებასთან და ფასიანი ქაღალდების ძირითად გადასახადებთან, როდესაც ამის საჭიროებაა. ძირითადად, ჯანვობლიგაციები უფრო მაღალ საკრედიტო რისკს მოიცავს ვიდრე დაბალი საინვესტიციო შეფასების მქონე ობლიგაციები. საპროცენტო განაკვეთის რისკს ახასიათებს ფიქსირებული საშემოსავლო ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილებები, რომლებიც გავრცელებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისაგან გამომდინარეობს. მოცემული რისკები ნიშნავს, რომ დაბალი საინვესტიციო შეფასების მქონე ფასიანი ქაღალდების ინვესტიციები უფრო მეტ რისკს შეიცავენ ვერ მიიღონ შემოსავლის ან ღირებულების მოგება, რომლის მოლოდინი ამგვარი ფასიანი ქაღალდებიდან არსებობს და რომ ამ ინვესტიციების წმინდა ღირებულება დაცემის დიდი რისკის წინაშე დგას.

წინამდებარე განცხადება არ ამჟღავნებს ამგვარი პროდუქტებით ვაჭრობის ყველა რისკს. თქვენ ამდენად ყურადღებით უნდა შეისწავლოთ კონკრეტული პროდუქტი თუკი გსურთ ჩაერთოთ მასში.

5. გადასახადები და ანაზღაურება

5.1. ადმინისტრაციული გადასახადები

TH აწესებს გადასახადებს და ანაზღაურებას გარკვეულ ადმინისტრაციული სერვისებისათვის, რომლებიც თქვენთან საქმიანი ურთიერთობებისას შეიძლება წარმოიშვას. აღნიშნული სერვისები მოიცავს გადარიცხვას, საკრედიტო ბარათის ტრანზაქციებს, ფოსტით გაგზავნილ დუბლირებულ დოკუმენტებს, აუდიტის სერტიფიკატებს და ა.შ.

5.2. ზღვარი, რეფინანსირება და ფინანსური განაკვეთები (ა) თავდაპირველი ზღვარის ზღვრული განაკვეთები წარმოადგენს თანხას, რომელსაც ჩვენ ვიღებთ დებიტის სახით თქვენი ანგარიშიდან თქვენს მიერ ახალი პოზიციის გახსნისთანავე. აღნიშნული გვიცავს ჩვენს ბაზრის უცეხადი ცვლილებებისაგან ან თქვენი გაკოტრებისაგან.

ზოგადად, აღნიშნული თანხა გამოითვლება როგორც კონტრაქტის ღირებულების პროცენტი. გთხოვთ დაეყრდნოთ ჩვენს ვებ-გვერდს ან დაგვიკავშირდეთ ჩვენ პირდაპირ თქვენი ამჟამინდელი ზღვრული განაკვეთების შესახებ, რომლებსაც თქვენ TH გთავაზობთ.

(ბ) დაფინანსების განაკვეთები (სვოპები)

თქვენ უნდა იცოდეთ რომ კოზიციებისათვის, რომლებიც თქვენ გიკავიათ ვაჭრობის დღის ბოლოსათვის, თქვენ მოგეთხოვებათ სადღეღამისო გადასახადის გადახდა თქვენი კონტრაქტის ღირებულების დასაფინანსებლად ან კონტრაქტის ღირებულების თანხას იღებთ. აღნიშნული წარმოადგენს გადასახდელ საპროცენტო განაკვეთის სხვაობას ვალუტებს შორის, რომელსაც ეძახიან სვოპებს.

კოზიციები, რომლებიც იხურება დღის დასრულებამდე არ იბეგრება სადღეღამისო საფინანსო (სვოპ) გადასახადით და ამდენად ყველაზე მეტად გამართლებურია ერთდღიანი ვაჭრობისათვის.

5.3. ვაჭრობის საკომისიოები

ნებისმიერ კონტრაქტზე საკომისიო დარიცხვა დამოკიდებულია კონკრეტულ კონტრაქტზე და გამოიქვითება თქვენი ანგარიშიდან კონტრაქტის აღსრულების მომენტისთანავე. თქვენს მიერ გადახდილი საკომისიოს დეტალები დეტალურად არის მოცემული გაყიდვების ონლაინ სისტემებში, ისევე როგორც თქვენს დეკლარაციებში. ჩვენ გირჩევთ მიმართოთ თქვენს ბოლო ცნობილ ელფოსტას საკომისიო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებით. საკომისიოები დამოკიდებულია შესრულებული შეკვეთის მთლიან ღირებულებაზე აშშ დოლარში. საკომისიოები მუდმივად და ავტომატურად გამოითვლება სავალუტო ბაზაზე, რომლებსაც არ გააჩნიათ აშშ დოლარი როგორც ბაზა. ჩვენი დეტალური ანგარიშგების სისტემა პლატფორმის შიგნით აღრიცხავს ყველა სავაჭრო და საკომისიო გადასახადებს. დეტალური დეკლარაციები აჩვენებს როდის და როგორ იქნა საკომისიო გამოთვლილი ყველაზე საუკეთესო არსებული გადაცვლის კურსით ვაჭრობის განხორციელებისას.

6. TH-ის ხელშეკრულება

თქვენი ხელშეკრულება TH-თან მოიცავს წინამდებარე დოკუმენტს და „ზოგად პირობებს“ და სხვა დამხმარე დოკუმენტებსა და დანართებს.

თქვენ მოგეთხოვებათ წაიკითხოთ ყველა ეს დოკუმენტი ანგარიშის გახსნამდე. თუ გაგაჩნიათ კითხვები ან გჭირდებათ განმარტება ამ დოკუმენტებში მოცემულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ანგარიშის გახსნამდე.

ჩვენ შორის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელსაც თქვენ მოაწერთ ხელს, რეგულირდება ჩვენი „ზოგადი პირობები“ და იგი უნდა იყოს წინასწარ შეთანხმებული თქვენს მიერ ჩვენთან ანგარიშის გახსნამდე.

გავეცანი და ვეთანხმები ყოველივე ზემოაღნიშნულს:

თარიღი: